ბაზრის კვლევის გამოქვეყნების ინსტრუქცია

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ პორტალზე

ბაზრის კვლევის განცხადების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმართოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილობით ან ელ. ფოსტის (info@procurement.gov.ge) საშუალებით.

მომართვა უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

სავალდებულო მოთხოვნებია:

1) **ოფიციალურ წერილს (წერილი აუცილებელია შეიცავდეს ორგანიზაციის დასახელებას, საიდენტიფიკაციო კოდს და ორგანიზაციის მოქმედ ელ. ფოსტას. წერილის დამოწმება სავალდებულოა ელექტრონული ხელმოწერით ან ორგანიზაციის ელექტრონული შტამპით) PDF ფორმატში სააგენტოს თავმჯდომარის ბატონ ლევან რაზმაძის სახელზე ბაზრის კვლევის პორტალზე განთავსებასთან დაკავშირებით.**

2) **ბაზრის კვლევის მოკლე ტექსტს MS Word-ის (DOCX) ფორმატში.**

3) **ბაზრის კვლევის ობიექტის CPV კოდს.**

დამატებითი მოთხოვნებია:

4) **დანართის ან დამატებითი დოკუმენტების არსებობის შემთხვევაში:**

   - **20 MB-მდე ერთ ფაილად ZIP ან RAR ფორმატში.**
   - **თუ დანართის მოცულობა ჯამში აღემატება 20MB-ს, ატვირთეთ დანართი რომელიმე Cloud სერვერზე და მოგვწერეთ დანართის ბმული.**

5) **ორგანიზაციის ლოგოს არსებობის შემთხვევაში, ორგანიზაციის ლოგოს (ერთჯერადად) PNG, JPEG ან JPG ფორმატში. ლოგოს არ ქონის შემთხვევაში ბაზრის კვლევა განთავსდება ვებგვერდზე სააგენტოს მიერ ბაზრის კვლევისთვის შემუშავებული სტანდარტული ლოგოთი.**

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ბაზრის კვლევის თაობაზე განცხადება სააგენტოს პორტალზე განთავსდება მომართვის წარდგენიდან მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ზემოაღნიშნული პუნქტების არასრულყოფილად მოწოდების შემთხვევაში ბაზრის კვლევის განცხადება არ განთავსდება.